14 ოქტომბერს სუვერენიტეტოობაა, გილოცავთ!

ბორჯომი

13 ოქტომბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№42 (9252)
ფასი 40 თეთრი

ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ღვინის ფესტივალი-ბორჯომში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 9-15 ოქტომბერს საქართველოში, ახალი, ყოველწლიური ფესტივალი **„ღვინის დღეები“** აღინიშნება.

9 ოქტომბერს ღვინის ფესტივალს ბორჯომმა უმასპინძლა. ღონისძიება ბორჯომის (ცენტრალური) ისტორიული პარკში ქართული ღვინის დეგუსტაციითა და გამოფენა-გაყიდვით დაიწყო.

მრავალფეროვანი კერძების სივრცეში ქალაქის სტუმრებს შეეძლოთ დაეგემოვნებინათ მესხური ყველი და პური, ქართული პროდუქტები, ადგილზე მომზადებული ცხელი თათარა, ჩურჩხელა და თონის პური.

მასტერკლასები: პურის ცხობა; ჩურჩხელების ამოვლება; ფელამუშის მომზადება კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და მიმზიდველს ხდიდა დღესასწაულს.

დიდი მოწონებით სარგებლობდა ტურისტებში სამახსოვრო სუვენირების გამოფენა-გაყიდვა.

შეკრებილი საზოგადოება ყურადღებით ისმენდა ქართული სუფრის ტრადიციის ისტორიებს საქართველოს წარსულიდან, თემა ქართული ღვინო გახლდათ.

ქალაქურმა სიმღერებმა, კოსტიუმირებულმა „მოსიარულე“ მუსიკალურმა ორკესტრმა ბავშვებსა და ზრდასრულებში მსგავსი ემოცია და სასიამოვნო განწყობა შექმნა.

აქვე ნახავდით საბავშვო შემეცნებით აქტივობებს; ხელნაკეთი სამახსოვრო სუვენირების დამზადებასა და არაერთ შემეცნებით-გასართობ თამაშებს.

გამორჩეული იყო მასტერკლასი ღვინის სახეობებისა და კერძების მრავალსახეობებთან დაკავშირებით ღვინის დეგუსტაცია და შემეცნებითი საუბარი მოწვეულ სპეციალისტთან ერთად.

მთელი ღონისძიების განმავლობაში მიმდინარეობდა გამოფენა-ინსტალაცია თემაზე - **„8000-წლიანი უწყვეტი ტრადიცია“**.

18 საათზე დაიწყო მუსიკალური პროგრამა, სადაც მსმენელის წინაშე იმღერეს **სოფო გელოვანმა, მაგდა ნიკოლეიშვილმა, სალომე ბაკურაძემ, ნოდიკო ტატიშვილმა.** საღამო ჯგუფი „ოჩოს ქოხის“ კონცერტით დასრულდა.

იზა იანვარაშვილი

ქალაქის ბერსახის გაჯანსაღება გრძელდება

ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** და თვითმართველობის წარმომადგენლებმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

ბორჯომში ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს მესხეთის №35 და №61-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, აივნები და კარ-ფანჯრები, მოეწყო დეკორატიული ელემენტები და განათება. ასევე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს არსებულ ღობეს უტარდება რეაბილიტაცია. რისთვისაც ცენტრალური ბიუჯეტიდან 849 519 ლარია გამოყოფილი.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების ფარგლებში, სოფელ ლიკანში არსებულ ხიდს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, სპორტული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციას აქტიურად აგრძელებს.

ამჯერად, სრულიად ახალი სპორტული მოედანი სოფელ ლიკანში, მესხეთის ქუჩის №107 ეწყობა. სამუშაოებისთვის ადგილობრივ ბიუჯეტიდან 145 142 ლარია გათვალისწინებული.

პროექტის ფარგლებში, მოედანზე ბალახის ხელოვნური საფარი დაიგება, დამონტაჟდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფეხბურთისა და კალათბურთის კარები და ფარები, მოეწყობა განათების სისტემა, ასევე შემოიღობება მოედანი.

- ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი იყო, რომ აღნიშნულ მისამართზე მოწყობილიყო სპორტული მოედანი. მათ ამისათვის ფარდულების დემონტაჟი განახორციელეს. ჩვენ რა თქმა უნდა დავეთანხმეთ მათ თხოვნას. ახალგაზრდების ჩართულობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანესია. მსგავსი მინი მოედანი სხვადასხვა უბნებში და სოფლებში მოეწყო. პროცესი მომავალ, 2023 წელსაც გაგრძელდება, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა ოთარ არბოლიშვილმა.

სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები გაეცნენ.

რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის სანაპიროზე ახალი სკვერის მოწყობის

სამუშაოები დაიწყო.

მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძრვანელები და ადგილობრივი თვითმართველობის წევრები ადგილზე გაეცნენ.

პროექტის მიხედვით ტერიტორიაზე მოეწყობა საყრდენი კედელი, შიდა ბილიკები, განთავსდება საბავშვო ატრაქციონები, ფიტნეს-ტრენაჟორები, ფანჩატური, წყლის ბიუვეტი, დეკორატიული საბაღე სკამები, სანაგვე ურნები, დამონტაჟდება დეკორატიული ლამპიონები და ჩატარდება გამწვანების სამუშაოები. პროექტი ორ ეტაპად განხორციელება და მისი საერთო ღირებულება 846 155 ლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს რუსთაველის ქუჩაზე სანაპიროს გარკვეულ მონაკვეთზე მოეწყო სკვერი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა,ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში დასასვენებელი სივრცისა და სპორტული მოედნის მოწყობა მომავალშიც გაგრძელდება.



სოციალური პროგრამების დაფინანსება გრძელდება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ, სოციალური პროგრამების ფარგლებში, სექტემბერში 143 517 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტემა დახმარება 610 ბენეფიციარს გაუწია.

79 961 ლარი, 93 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 60 ბენეფიციარი 7190 ლარით დაფინანსდა.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 15 პაციენტი 12 175 ლარით, ხოლო 97 მრავალშვილიანი ოჯახი 18 650 ლარით დაფინანსდა.

სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედამით ობლებმა და სხვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება.

პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი მხარდაჭერა.

ბაკურიანში პარკის რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება

ბაკურიანის პარკის რეაბილიტაციის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს. როგორც ვიუწყებოდით, ეს მასშტაბური პროექტი ძველი პარკის მთლიან ტერიტორიაზე ხორციელდება. რიგი სამუშაოები თითქმის დასრულებულია - პარკის განათება, ინვენტარის განახლება. დასრულებულია ასევე სტადიონის მშენებლობა, მოწყობილია ტრენაჟორებისა და საპარკინგე ზონები. ახლა მიმდინარეობს სასეირნო ბილიკების მოწყობა. ბილიკები იქნება ორი ტიპის - ქვის და საჰაერო. ასევე მიმდინარეობს ადმინისტრაციული შენობის მოდერნიზაცია, რომელიც სავარაუდოდ კაფე-ბარის ფუნქციასაც შეითავსებს. პარკის ტერიტორიაზე განლაგდება ბავშვების გასართობი მოედნები, დასასვენებელი ზონები, ასევე კვების ობიექტები და კომერციული სივრცეები.

ბაკურიანის ცენტრალური პარკი კურორტის მთავარ რეკრეაციულ სივრცეს წარმოადგენს. პარკის რეაბილიტაციის იდეას ყველა დადებითად უყურებს. კეთილმოწყობილი პარკის არსებობა კურორტზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მარტო ტურისტებისთვის, არამედ ადგილობრივებისა და მათი ბავშვებისათვის. პროექტი დაფინანსებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და კომპანია ,,Green Service~ პროექტს დათქმულ დროზე, 2023 წელს დაასრულებს.

ვეფხისტყაოსანი



სვეტიცხოველი, სვეტიცხოველი, სვეტი ზეციდან,
ცას მიბჯენია დიდებული თორმეტი სვეტი,
ზეცას ხომ იქერს, თვალს უსწორებს ცასა და მიწას,
სვეტიცხოველი, რა ვინატროთ ამაზე მეტი?

სვეტიცხოველი, ანგელოზთან ერთად ნაღვაწი,
ანგელოზის და კაცის ერთად შემოქმედება,
სად განისვენებს უფლის კვართი, უფლის სამოსი,
და საქართველოს ძალი მისი მადლად ედება.

ღაღადებს მცხეთის სიძველეზე, სიდიადეზე,
მტკვარი, არაგვი, მაყვლოვანის სურო და ანწლი,
ელავს ტაძარზე არსაკიძის მოჭრილი მკლავი,
არ აპატია მავანმა მას ეს დიდი ღვაწლი.

და მცხეთას, როგორც იერუსალემს, ოღონდ მეორეს,
თაყვანს სცემს ყველა მორწმუნე და ჯანსაღი ერი,
სვეტიცხოველი – გადარჩენა ცხოვრების აზრი,
სვეტიცხოველი – ჩვენი წარსულის მრავლისმნახველი!

ჩამჯდარ იგი პეიზაჟში ულამაზესში,
როგორც ლოცვა და მიწიერი საგალობელი,
ამ დიდ განძს თუმცა ურჯულონი გვედავებოდნენ,
და მაინც ჩვენ ვართ მისი მცველი, მისი მფლობელი.

და ისტორიის ქარტეხილში ერები გაქრნენ,
სვეტიცხოველზე ძვირფასი ჩვენ რა გვაბადია,
დიდება უფალს, მისი ხელი და მისი მადლი
ჩვენს ერს რომ სწყალობს და რომ იცავს, ცხადზე ცხადია

სვეტიცხოველი, უფლის სახლი, უფლის სამყოფი,
ქართველთ ოდითგან სიკეთედ და მადლად აჩნია,
მცხეთის ჯვრისა და ნინოს წყაროს, სამთავროს შორის,
სვეტიცხოველზე დიდებული რა გაგვაჩნია?

სვეტიცხოველი, ცადაზიდული და მშვენიერი...
მრავალჟამიერ, მასთან ერთად ქართველი ერო!

ოლიკო ლომიძე

მორჯომში პედაგოგის დღე აღინიშნა

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დარბაზში პედაგოგთა საერთაშორისო დღე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ საზეიმოდ აღნიშნა. მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო ხელოვან მასწავლებელთა გამოფენაც, რამაც აღაფრთოვანა დამთვალიერებელი და მოტივაცია მისცა სხვა ხელოვან პედაგოგებს მომავლისათვის წარმოეჩინათ თავიანთი ნამუშევრები: ხელნაკეთი ნივთები, ნაქარგ-შეკერილ-ნაქსოვები, ნახატები. ზოგადად, ძალიან კარგი ჟესტია ადგილობრივი ხელისუფლებისგან, რომ პედაგოგი ახსოვთ და არ ავიწყდებათ მისი დაფასება. სწორედ, 5 ოქტომბერს - პედაგოგთა დღეს გაიმართა წარმატებული, გრანტმოპოვებული აბიტურიენტების, მათი დამრიგებლების დაჯილდოვება. მათ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **გიორგი ფერაძემ** და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **იზოლდა ლომიძემ** სიგელები, თაიგულები და ფულადი ვაუჩერები გადასცეს. ოთხს აბიტურიენტს, რომელთაც 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მიიღო 300 ლარი გადაეცა. 70%-იანი დაფინანსების მქონე 5 აბიტურიენტს - 250 ლარი, ხოლო 26 აბიტურიენტს, რომელთაც 50%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მიიღო - 200 ლარი. წარმატებული აბიტურიენტების კლასის თექვსმეტი დამრიგებელი კი „მეგატექნიკის“ 100-ლარიანი ვაუჩერით დაასაჩუქრეს.

ღონისძიების დასასრული ნამდვილი შემოქმედებითი საათით დაგვირგვინდა: მესტიის ლეო ფილფანის სახელობის დასმა საინტერესო, განსხვავებული პერფორმანსი შემოგვთავაზა - მსახიობების ტექსტის კითხვის დროს სინქრონში ქვიშაზე იხატებოდა პოემის სტუმარ-მასპინძელის ყველასთვის ნაცნობი, დაუვიწყარი ეპიზოდები. ამისთვის დიდი მადლობა უნდა ეთქვათ მერის მრჩეველს კულტურის საკითხებში, **გოგიტა ბუგიანიშვილს,** კულტურის განყოფილების უფროსს - **შალვა გოგოლაძეს,** სპეციალისტებს - **ქეთევან ბეროზაშვილსა** და **შოთა გელაშვილს.**

იზოლდა ლომიძე, ქალაქ ბორჯომის რესურსცენტრის ხელმძღვანელი: - ვუღოცავ პედაგოგებს ამ ღისშესანიშნავ დღეს! დიდი მადლობა ადგილობრივ პირველ პირებს ასეთი სასიამოვნო-საზეიმო აღნიშვნისათვის. ჩვენ მართლაც ვცდილობთ სკოლის მუშაობა, პედაგოგის პროფესიული წინსვლა შეესაბამებოდეს მოსწავლის მიერ ნაჩვენებ შედეგს.

დავით ზაალიშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: - ყველა პედაგოგს ვუღოცავ ამ მნიშვნელოვან დღეს. განათლებაზე დგას ჩვენი მომავალი! მასწავლებელი მთავარი გზის მაჩვენებელია მოსწავლისთვის და გაემართლებინოთ თქვენი იმედები ახალგაზრდებს. უფრო ბევრი გრანტის მქონე აბიტურიენტი გვყოლოდეს, ბევრი ღირსეული პედაგოგი! ძალიან დიდი პატივისცემით გვინდა დღევანდელი დღით იყოთ ნასიამოვნები და ჩვენგან ეს მცირეოდენი საჩუქრები მიიღოთ თქვენდამი მოწიწების, დაფასების ნიშნად.

მონიკა ჟანტურია

მოსწავლის ჩანაწერი მასწავლებელზე

წაიკითხო და... ცრემლები არ მოგერიოს, გული არ აგიჩქაროლდეს შეუძლებელია. მასწავლებლის პორტრეტი საოცრადაა აღწერილი, როგორც გარეგნული, ისე შინაგანი სამყარო მთელი გულისთქმით შეცნობილი მოსწავლის მიერ. საოცარია, ვფიქრობ, უკვდავია ჩვენი რედაქციის ჟურნალისტის, წაღვერის საჯარო სკოლის, მასწავლებლის **მონიკა ჭანტურიას** მიმართ მოსწავლისგან დაწერილი ეს ჩანაწერი. მსურს, ჩვენს მკითხველსაც გავუზიარო, რომლებიც დღესაც ინტერნეტ სივრცეს, ისევ და ისევ გაზეთის ფურცლებს ამჯობინებენ და ამასთან ისტორიასაც შემოვუნახოთ.

მადლობა ამ ემოციისთვის თქვენ მასწავლებელსაც და მოსწავლესაც. გილოცავთ მასწავლებლის დღეს! დაე, თითოეულ პედაგოგს მოსწავლეებში მსგავსი სინათლე აენთოს და მათი გულები გაეთბოს.

უცვლელად გთავაზობთ წაღვერის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლის **ანასტასია გელაშვილის** ჩანაწერს.

- ალბათ, ყველას გყავდათ ის ერთი, განსაკუთრებული მასწავლებელი, რომლის გაკვეთილსაც სულმოუთქმელად ელოდებოდით. ჩემთვის სიტყვა მასწავლებელი ყოველთვის რაღაც სევდის მომგვრელია, რადგან არ ვარ ისეთი ბავშვი, ასე ვთქვათ სასურველი, კარგი ყოფაქცევის. სიმართლე რომ გითხრათ, ყოველთვის მინდოდა ვყოფილიყავი ჩემი მასწავლებლების თვალში ისეთი, რომ ჩემთან ურთიერთობა სიხარულის მომგვრელი ყოფილიყო და სამასწავლებლოში გასულებს არ ეთქვათ: „ტასომ კლასი თავზე დაიმხო“, ან „მთელი გაკვეთილის განმავლობაში ღლიცინებდა“. რომ გითხრათ, მწყინს-მეთქი, არც ეს არ იქნება მართალი, მაგრამ როდესაც იცი, თუ რამდენად გაგახარებს მასწავლებლის ერთი შექება, თუნდაც, ერთი თბილი სიტყვა, გულში მაინც ჩამწყდება ხოლმე რაღაც. ვიცი, რომ ჩემი ბრალია... რომ შემიძლია ვიყო ისეთი, როგორიც მე მინდა, ან როგორიც უნდა ჩემი ქართულის მასწავლებელს...

ხშირად მესმის კითხვა: - შენი საყვარელი საგანი? - ქართული. დიდი სიამაყით ვამბობ მე, რომ ჩემი ქართულის მასწავლებელი ქალბატონი მონიკა ჭანტურია... მაღალი, წითური თმით (ისე, ახლა დავფიქრდი - ნეტა, თავისი ფერია?), დიდი, ყავისფერი მრავლისმეტყველი თვალებით, წვრილი სახით და მუდამ ღიმილიანი... თბილი გულით... ნეტავ, იცოდეთ, როგორი გულის პატრონია. ალბათ, ყველაზე გულჩვილი ადამიანია, ვინც კი მინახავს: ყოველი სევდიანი მოთხრობის, ლექსის კითხვისას ცრემლები სძღვევს ხოლმე, უმტყუნებს ხოლმე გული... ისე, ხანდახან წარმომიდგენია რამდენი რამეა ჩემგან საწყენი... ამ ყველაფერსაც ისე ვწერ, გეგონება ამის მერე არ მოვუშლი ნერვებს... ისე მასწ, რომ იცოდეთ, როგორ მითბება გული, როცა ციგანს მეძახით. მიყვარს, როცა ჩემს ხუმრობებზე გეცინებათ... როცა ჩემს ნაწერებზე სევდიანდებით... სკოლაში კი ვუშლი ხოლმე ნერვებს, მაგრამ სკოლის გარეთ ხომ სულ სხვა ადამიანი ვარ. ამას წინათ, ბორჯომ-ქალაქობის დღესასწაულზე მე და ჩემი მეგობრები კონცერტზე წავედით და სწორედ, იქ შეგვხვდა. ფოტოებს ვიღებდით და მანაც გადაწყვიტა ჩვენთან ერთად ფოტოს გადაღება. მე მის უკან ვიდექი. არ ვიცოდი, რა პოზა მიმეღო. ინსტიქტურად ხელები წელზე შემოვხვიე და მის მხარზე ოდნავ თავი ჩამოვდე... არ ვიცი, რა სითბო ვიგრძენი... სულ სხვა ადამიანი იყო... ასე მეგონა, დედაჩემის კალთაში მეძინა... უცბად მეგონა ხუთი წლის ვიყავი... ძალიან მიყვარს მისი ყველაფერი: რაც არ უნდა მდგომარეობიდან გამოვიდეს, ზედმეტად მაინც არ მეტყვის არაფერს... ეშმაკები დამირბიან თავში, ვერ ვისვენებ გაკვეთილზე... სულ ვცქმუტავ და რაიმე კარგ ხუმრობას ველოდები, რომ გულიანად გავიცინო... მე არ ვიცი, რამდენად კარგი მოსწავლე ვარ მისთვის, მაგრამ ჩემთვის ის სულ სხვანაირია, სხვა მასწავლებელებს არ ჰგავს... ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე მე და ანი მის შესახებ... ხან ვამბობთ, - ეს რატომ გვითხრაო, ხანაც - დღეს რა საყვარელი იყოო, ხან რას, ხან რას, მაგრამ... მაინც ის ჩემთვის ყველასგან გამორჩეულია... ყოველთვის მინდოდა, რომ მის თვალში კარგი მოსწავლის იერი მქონოდა, დარწმუნებული ვარ, ეს არ გამომდის, მაგრამ ჩემთვის ნამდვილად არის ის საუკეთესო... ყველაფრის მიუხედავად, ის თავისებურია, ჩვენ - ჩვენებური, მაგრამ მაინც ახერხებს, რომ თავი ძალიან შეგვაყვაროს... როცა დიდი გავიზრდები, მას ყოველთვის გავიხსენებ.

- დღეს გულწრფელი ურთიერთობის დღეა! ჩემთვის ყველაფერია, როცა მოსწავლისგან ასეთ გზავნილს იღებ. მადლობა თითოეული სიტყვისთვის, რომელმაც გულში გაიარა. ბევრი ფრაზა მერწმუნა და შენ შენი მხრივ, მე კი - ჩემი მხრიდან ვეცდები ვიყო სასურველი მასწავლებელი! - წერს **მონიკა ჭანტურია.**

მოამზადა
იგა იანვარაშვილმა

მოვლენების კვალდაკვალ

„არაა არს ფიცარული და ქვეყანა გაცალდების“...

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** აღნიშნა: **„ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენ ერი, რომლის ისტორიაც ათასობით წელს ითვლის, არაორდინალურ გამოწვევების ფონზე გახდა გამძლეობისა და წინსვლის მაგალითი.**

ჩვენი ისტორიის „ათასობით წელი“ რომ ახსენა, პრემიერმა ყველას მიანშნა (ირიბულად), რომ ჩვენი ერია ოდითგანვე დიდი კულტურისა და ცივილიზაციის მქონე უძველესი ერი და „გამძლეობის მაგალითს“ არა მარტო ბოლო ათწლეულებში, მთელი თავისი არსებობის მანძილზე აჩვენებდა და სწორედ ამან გადაარჩინა. „არაორდინალური გამოწვევების“ სიუხვე კი ახლაც არ აკლია საქართველოს და მის ხელისუფლებას.

ამ ბოლო ათი წლის მანძილზე კი, რაც „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ხელისუფლებაში მოვიდა, მმართველ გუნდს სულ დანის პირზე უწევს სიარული. **თურმე ქვეყნის ცხოვრება პოლიტიკური კულუარებიდანაც იმართება და ხალხისთვის ბევრი რამ არის დაფარული.**

2012 წლის 1 ოქტომბერს არჩევნებში გაიმარჯვა თუ არა, „ქართული ოცნება“ ბევრისათვის უჩვეულო და გაუგებარ (მათ შორის ჩემთვისაც) ნაბიჯებს დგამდა ქვეყნის მართვაში. ყველას ეგონა, რომ წინა ხელისუფლების სისხლიანი რეჟიმის მოთავენი დაისჯებოდნენ, მაგრამ გამოდის ბატონ ბიძინა და ამბობს: „ჩვენ მათ ისე მოვეპყრობით, როგორც ქართველ ერს ეკადრებაო“!.. ეი. ქართველი ერი მიმტევებელი, ჰუმანური ერია და ნაციონალური პარტიის დამნაშავე ლიდერებს მაინც ყველაფერს ვპატიობთო! თვით პრეზიდენტ სააკაშვილსაც ერთი წლით გაუხანგრძლივეს პრეზიდენტობა(!). სიდადესაც შემოვიდა და დამკვიდრდა უცნაური სიტყვა **„კოჰაბიტაცია“,** რომელიც თავის არსში მიმტევებლობას და დაპირისპირებული მხარეების თანაარსებობას გულისხმობდა. ამ კოჰაბიტაციამ თუ რა დღეში ჩააგდო საქართველო, ყველა ვხედავთ, - მთავარ ოპოზიციად მონათლული ნაცმოძრაობა სისხლს უშრობს ქართველ ხალხს!

თურმე ეს უცნაური სიტყვა „კოჰაბიტაცია“ (ანუ დამნაშავეების არ დასჯა!) წამოვიდა ჩვენი **„სტრატეგიული პარტნიორიდან“ - ამერიკის დეპარტამენტიდან: ვიცით, რომ სააკაშვილი და მისი პარტიელები ნაძირალები არიან, მაგრამ „ჩვენი ნაძირალები“, „ჩვენი ძაღლიშვილები“ არიან და ხელს არ ახლებთო!** მომყავს ნანყვეტი ცნობილი პუბლიცისტის **იაკობ ლეჟავას** წერილიდან, რომელიც 29-31 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა: „არჩევნებში სააკაშვილის დამარცხების შემდეგ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აშშ-დან, სავარაუდოდ, ელჩის მიერ, **გადმოეცა 20 კაცის სია,** რომლებზეც (უკლებლივ ყველაზე), უნდა გავრცელებულიყო ხელშეუხებლობის გარანტია. ამიტომაც „ქართულმა ოცნებამ“ ხელი არ ახლო (ვერ ახლო! უ.ჯ.) ბევრ დამნაშავე ნაცს და მათაც დაუბრკოლებლად დატოვეს საქართველო. დანარჩენებმა კი, ძირითადად პროკურორრ-მოსამართლეებმა(!) უჭრობლემოდ განაგრძეს მუშაობა“...

ძირითადად რომელ ქვეყანაში „გაიხვეტნენ“ ნაცი „ბოსები“? - უკრაინაში! ესეც თურმე „ვაშინგტონის კრემლის“ ფართომასშტაბიანი გეგმის ნაწილი ყოფილა! რა ხდებოდა უკრაინაში?. ისევ ამონარიდი იაკობ ლეჟავას წერილიდან. „2014 წლის თებერვალში (მაიდანის დასრულებამდე!) სახელმწიფო მდივნის თანაშემწე **ვიქტორია ნულანდი** ამერიკის ელჩთან **ჯეფრი პაიეტთან** ერთად უკრაინის მთავრობას აყალიბებდა... ყველაფერს ამერიკა წყვეტს „თავის ხოშზე“ და ევროკავშირსაც კი ძაღლადაც არ აგდებს. კიევის მერად **ვიტალი კლიჩკოს** დანიშვნაზე ევროკავშირი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ქალბატონმა ნულანდმა თქვა: **„ფეხებზე მკიდია თქვენი ევროკავშირიო“** და მაინც ქალაქის მერად მოკრივე კლიჩკო დანიშნა!

ამის შემდეგ ვინმეს უნდა გაუკვირდეს, თუ რატომ ხდებოდა საქართველოშიც მაღალ თანამდებობებზეც უცნაური დანიშვნები? მაგალითად, თავდაცვის მინისტრად დანიშნეს ქალბატონი **თინა ხიდაშელი,** რომელსაც მანამდე იარაღი ხელშიც არ ჭერია?! მისი ქმარი რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილიც ალბათ ამერიკელების მითითებით გაამწესა ბატონმა ბიძინამ თავის დროზე პარლამენტის თავმჯდომარედ!

დაუსჯელობის სინდრომი რომ ბატონობს ქვეყანაში, ესეც ამერიკული კულუარული დირექტივების, მათი ელჩების ჩვენ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევის ბრალია! ყველას გაოცება გამოიწვია იმან, რომ **შეიწყალეს და ციხიდან გამოუშვეს დამნაშავეები: გიგი უგულავა, ნიკა მელია, ირაკლი ოქუაშვილი, რურუა“...**

როგორც გამოირკვა, ამერიკის ახლანდელი ელჩი **კელი დეგნანი** უკრაინის ომის დაწყებამდე, ვაშინგტონიდან მითითებების შესაბამისად, ცდას არ აკლებდა, ნაციონალები მოსულიყვნენ ხელისუფლებაში. „გაერლოვის ღამე“ პარლამენტი რომ ვერ აიღეს ნაცებმა და ეს შეჭრა პოლიციამ აღკვეთა, ამასაც ანტიდემოკრატიულ ქმედებად უთვლის ხელისუფლებას! ეს მაშინ, როცა ამერიკის კაპიტოლიუმზე თავდასხმა დანაშაულად გამოაცხადა (ოთხი ადამიანი დაიღუპა, უამრავი დააპატიმრეს).

ჩვენი პრეზიდენტი ქონ სალომე ზურაბიშვილი ამერიკის ელჩის მხარეზე დგას, თუმცა პოზიციაოპოზიციის შერგებაზე საუბრობს, მაინც ამერიკიდან უხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების „სიმღერით მღერის“. როცა პრეზიდენტი იტყვის: ნიკა გვარამიას სასჯელის მიმცემი მოსამართლე **ლაშა ჩხიკვაძეს** ეს სასჯელი არ უნდა მიეცა და ამერიკის საელჩოს ზეწოლა არ უნდა გაეპროტესტებინაო, ეს სამართლიანია? ზოგიერთი ექსპერტი შიშობს, რომ შესაძლოა პრეზიდენტს სააკაშვილი და გვარამიაც შეაწყალებინონ ოკეანის გაღმიდან...

მოძრაობა „ხალხის ძალის“ დამფუძნებლებმა, საქართველოს პარლამენტის წევრებმა საჯაროდ ამხილეს ამერიკის ელჩის მცდელობა, რომ საქართველომ რუსეთს დაუწესოს სანქციები, **ანუ - რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველოც ჩაებას.** ბიძინა ივანიშვილთან „სტუმრობის“ მიზეზიც თურმე ეს ყოფილა. ბატონ ბიძინას კატეგორიული უარი უთქვია სანქციების დაწესებაზე. ამ სტუმრობის შემდეგ „კოლექტიურმა დასავლეთმა“ დაიწყო „ნადირობა“ ბიძინა ივანიშვილის მილიონებზე. შვეიცარიის ბანკმა ყადაღა დაადო ამ თანხებს. ერთი სასამართლო პროცესი მოიგო, მეორეში ჯერჯერობით წარმატებას ვერ მიაღწია. „დასავლეთში“ თურმე ბიძინა ივანიშვილზე სანქციების დაწესებაზეც მსჯელობენ.

უკრაინა-რუსეთის ომში ბოლო ხანს უკრაინის წარმატების შემდეგ საქართველოს ომში ჩართვის საკითხი პოლიტიკურ კულუარებში ისევ გააქტიურდა. ამის ნინააღმდეგ ისევ მკცრად იბრძვის „ხალხის ძალის“ დამფუძნებელი „ოთხი მუშკეტერი“. მათ რიგებს ახლა კიდევ მიემატა 5 პარლამენტარი და რვა ცნობილი ექსპერტი.

იმედია, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება **ირაკლი ღარიბაშვილის** თავკაცობით უამრავ გამოწვევებთან ბრძოლაში ქართველი ერის გამძლეობის კიდევ უამრავ მაგალითს გვიჩვენებს და ქვეყანას არ ჩააბამენ ომის ქარცეცხლში და ორომტრიალში!

უფანგი ვანგირაშვილი

ვაქცინაციის გაშუქებისას სენსაციონიზმისგან დაცვა

GCSD-ის (საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი) ორგანიზებით, ბორჯომში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისათვის ტრენინგი გაიმართა თემაზე: **„როგორ ამოვიცნოთ და გავუმკლავდეთ დეზინფორმაციას და ხელი შევუწყოთ ვაქცინაციას“.**

ტრენინგს თსუ-ს პროფესორი, მედიაექსპერტი ქალბატონი **ნათია კუპრაშვილი** უძღვებოდა.

ტრენინგი ითვალისწინებდა ადგილობრივი მედიის მუშაობის სპეციფიკას და პასუხობდა მათ წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევებს ვაქცინაციის თემის გაშუქების პროცესში.

შეხვედრაზე განხილული იყო ისეთი საინტერესო თემები, როგორიცაა ინფოდემია და „დეზინფორმაციული ნარატივები პანდემიისას“, „სიზუსტე და გადამოწმების მნიშვნელობა“, დისკუსია გაიმართა ჟურნალისტებს შორის, მათ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება და ხედვა გაუზიარეს.

კვლევებმა და მონაცემებმა ცალსახად აჩვენა პანდემიის პირობებში აცრის როლისა და ჟურნალისტის პროფესიის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის.

დაუშვებელია დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენება სიუჟეტებისა და რეპორტაჟების მომზადებისას. საზოგადოებას უნდა მიეწოდოს გადამოწმებული და ობიექტური ინფორმაცია ვაქცინაციის შესახებ. ბევრი ითქვა პანდემიის პერიოდში გავრცელებულ მითებსა და რეალობაზე დაფუძნებულ ამბების ირგვლივ. მნიშვნელოვანია, რომ გვახსოვდეს ინფორმაციის მიწოდებისას ნებისმიერ სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დაისვა შეკითხვაც, ბოლოს როდის გავაშუქეთ ადგილობრივმა მედიამ თუ როგორია კორონავირუსის გავრცელების მაჩვენებელი საქართველოში? იმ ფონზე, როდესაც ისე ინტენსიურად აღარ ვატარებთ პრბადეს და არ ხდება ტესტირება მძიმე ავადმყოფობის გამოვლინების გარეშე. ყველას გვესმის ვირუსი არსად წასულა და ჩვენს ირგვლივ ადამიანები ისევ ებრძვიან კოვიდ 19-ს.

პროექტის ფარგლებში, მსგავსი ტიპის ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდება სამიზნე რეგიონებში მცხოვრებ (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) სხვადასხვა ჯგუფთანაც.

პროექტს "Vaccination4Georgia", ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრთან პარტნიორობით. პროექტი დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მიერ.

იზა იანეარაშვილი

ახალგაზრდა ხელმძღვანელების მონდომებით

დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე მადლობის წერილი მიმეძღვნა ახალდაბაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლისათვის, **ავთანდილ ცერცვაძისათვის,** მასთან მომუშავე სპეციალისტის **მალხაზ ჩადუნელისა** და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის (ახალდაბიდან) **ზურაბ ბლიაძისათვის,** რომლებმაც მიმდინარე წლის ცხელი ზაფხულის და არა ნაკლები შემოდგომის მიუხედავად შეძლეს სასმელი წყლის დეფიციტის აღმოფხვრა. წყალთა მეურნეობის ადგილობრივი მუშაკების აქტიური ჩართულობით. მოგვარდა სასმელი წყლის მიწოდება მრავალსართულიანი კორპუსების და ფერდობებზე განსახლებული მოსახლეობისათვის, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ წყლის მიწოდების ნაკლებობას უჩიოდნენ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წყლის დებატის გაზრდა დანარჩენი მოსახლეობის ხარჯზე არ მომხდარა, მითუმეტეს, რომ თითქმის ყველა მოსახლე აქტიურად მოიხმარდა წყალს ხეხილისა და ბოსტნეულის მოსარწყავად.

ახლა დღის წესრიგში დგას სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება, ცუდი ამინდის პირობებში, ჯერ კიდევ იმღვრევა წყალი, კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მხარში დაუდგება დაბის ახალგაზრდა ხელმძღვანელებს და უკვე დამონტაჟებულ ძვირადღირებულ საფილტრე დანადგარის ამუშავება მოხერხდება.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

დაკარგულების მოძიება გრძელდება

2010 წლიდან საქართველოს წითელი ჯვრის კომიტეტი აქტიურად ჩაერთო კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების პროცესში. შემუშავდა ე.წ. ხუთწლიანი პროგრამა, რაც გულისხმობს უფრო მეტი რესურსის ჩადებას აღნიშნული საკითხის შედეგიანად წარმართვისათვის. სწორედ არსებული საკითხის ირგვლივ გაიმართა შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრში წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენლობას, ადგილობრივი წითელი ჯვრის ფილიალის მოხალისეთა და კონფლიქტის დროს გარდაცვლილთა ოჯახის წევრების წარმომადგენელებთან ბორჯომიდან, ადიგენიდან, ახალციხიდან. **შეხვედრას ესწრებოდნენ ფსიქოლოგებიც.** როგორც შეხვედრაზე აღნიშნეს, სამი კონფლიქტის შედეგად (სამაჩაბლოს, აფხაზეთისა და აგვისტოს ომის) კონფლიქტის შედეგად სულ 2300 უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი აღირიცხება. მათგან სულ ამოცნობილია 2019 ცხედარი, ხოლო 380 ნეშტი ეგზუმირებულია. უგრო-უკვლოდ დაკარგულთა ძიების პროცესში შემუშავებულია ორი მექნიზმი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მიმართულებით მუშავდება და მასში ჩართულია თანასწორობისა და შერიგების სამინისტროს აპარატი და ასევე 2008 წლის რუსეთ-საქრთველოს ომის შემდგომ დაკარგულთა კმოსაძიებლად, რომელშიც ასევე აქტიურად თანამშრომლობს რუსეთის მხარეც.

ნეშტების იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება როგორც დნმ-ის ანალიზი, ასევე ითვალისწინებენ მოწმეთა თუ ოჯახის წევრთა მიერ გადმოცემულ ძირითად დეტალებს თუ მახასიათებლებს, ე.წ. არტეფაქტებს, რაც ნეშტის ამოცნობის პროცესში უმნიშვნელოვანესია.

როგორც წითელი ჯვრის კომიტეტის წარმომადგენლობის მხრიდან გაჟღერდა უგზო-უკვლოდ დაკარულთა ძიების საკითხი, საკმაოდ დადებითი კუთხით მიმდინარეობს სხვა

ქვეყნებისაგან განსხვავებით. მაგალითად, თუ სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფოს შევადარებთ, რომლებიც კატეგორიულ უარს აცხადებდნენ ნეშტების იდენტიფიცირების გამოძიების საქმეში.

2010 წლიდან აქტიურად ხდება უგზო-უკვლოდ დაკარულთა ოჯახის წევრებთან იურიდიული, სამედიცინო თუ ფსიქოსოციალური სახის დახმარება, რაშიც წითელი ჯვრის ორგანიზაციაა ჩართული.

შეხვედრისას ადგილობრივი წითელი ჯვრის ოფისის წარმომადგენლებმაც საკუთარი მუშაობისა და ადგილობრივ დონეზე განხორციელებულ პროექტების შესახებ ისაუბრეს და შეთანხმდნენ, რომ ადგილობრივ დონეზე უგზო-უკვლოდ დაკარგული ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან მუდმივ კომუნიკაციას დაამყარებენ.

შეხვედრის ბოლოს დაკარგულთა ოჯახის წევრებს მოგონებების წიგნი, სახელწოდებით **„უშენოდ შენთან“** გადაეცათ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სულ 35-მდე უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანი აღირიცხება, მათ შორის ბორჯომში რამდენიმეა დაკარგულად ჩათვლილი.

ნატო მელიქიძე

გავუფრთხილდეთ ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობას!

„აქა ამმაკი ქვის ვერძზე“

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში, „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“ გამოფენილ ქვის ექსპონატთა შორის თავისი ფორმითა და შინაარსით ყურადღებას იპყრობს და გამოირჩევა საკმაოდ მოზრდილი საფლავის ქვა ერთკუზიანი „ვერძის“ გამოსახულებით. ვერძის სიგრძეა 198სმ, სიმაღლე - 86სმ, სიგანე - 52სმ.

მუზეუმის იმდროინდელი დირექტორის, ქალბატონ ვიოლეტა ბალახაშვილის ინიციატივით, გადაწყვიტეთ მოგვეწყო „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. ამ მიზნით მოვიძიეთ ისტორიული და ეთნოგრაფიული მნიშვნელობის არტეფაქტები სხვადასხვა ადგილებში. ჩვენ გადმოცემით ვიცოდით, რომ ბორჯომის ცენტრალურ პარკში რევოლუციამდე დიდი მთავრების, რომანოვების მამულის მმართველს, მრავალმხრივ განათლებულ პროფესორ პავლე ვინოგრადოვ-ნიკიტინს, პარკში მისული დამსვენებელთათვის მოუწყია არქეოლოგიური მოედანი, სადაც სხვა საგნებთან ერთად გამოფენილი ყოფილა ზემოთ აღნიშნული საფლავის ქვა ვერძის გამოსახულებით. 1922 წელს მდინარე ბორჯომულას ჩვეულებრივზე 5-6-ჯერ მეტად ადიდების შედეგად აზვირთებულ ნიაღვარს არქეოლოგიური მოედანი გაუნადგურებია, ზოგიერთი ექსპონატი გადარჩენილა და ჩვენ 1990 წელს ბორჯომულას ნაპირსამაგრ ბეტონის ჯებირთან დაყრილი ქვის ექსპონატები გადმოვიტანეთ მუზეუმის ეზოში, მათ შორის იყო ქვის ვერძი. პროფ. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინმა თუ საიდან ან რომელ წელს მოიტანა ისინი არქეოლოგიურ მოედანზე, ჩვენთვის უცნობია.

ასეთ საფლავის ქვებს ჩვენ წინაპრები ძირითადად აკეთებდნენ განვითარებულ შუა საუკუნეებში. ჩვენს ხეობაში ისინი გვხვდება ტაბაწყურ-ბალანთის ზონაში, გუჯარეთის ხეობასა და სხვა ადგილებში... გუჯარეთის ხეობაში ნასოფლარ წითელი საყდრის ეკლესიის ეზოში ჩვენ გვინახავს საფლავის ქვა ცხენის გამოსახულებით. სახელი წითელი საყდარი, ლეგენდის თანახმად, იმიტომ ჰქვია, რომ ეკლესია უფრო მეტად წითელი ფერის ტუფის ქვით არის ნაშენი. ეკლესიის ირგვლივ არსებობდა დასახლება, რომელსაც, აგრეთვე, „წითელი საყდარი“ ერქვა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ სოფელს სახელი შუცვალეს და „აიდაროვი“ უწოდეს. ამ სოფელში ცხოვრობდა პროვინციალური გვარად აიდაროვი, იგი ბოლშევიკების მომხრე იყო, ამიტომ მის საპატივსაცემოდ სოფელს „აიდაროვი“ უწოდეს. 1950-იან წლებში სოფელი ჩამოსახლდა 5-6კმ-ით სამხრეთში, გუჯარეთის სიახლოვეს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მუზეუმის სამკაციანი ჯგუფი, კვლევითი განყოფილების გამგის მიხეილ ტივაძის, რესტავრატორის ჯემალ პაპიძის და ჩემი მონაწილეობით მუზეუმის კუთვნილი ავტომანქანით ვიყავით ექსპედიციაში გუჯარეთის ხეობის ზემო სოფლებში. წითელი საყდრის ეკლესიის დათვალიერებისას ჩრდილოეთ კედლის გარეთა მხარეს, 3-4 მეტრში, შევნიშნეთ მიწის ზედაპირზე ჩამქრალი სანთლის ნამწვი, სანთელი სანახევროდ იყო დამწვარი. ჩვენი ეჭვი გამოინვია იმან, რომ სანთელი კი არ ეგდო, არამედ ვერტიკალურად იდგა. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ სანთელი რაღაცაზე იყო დამაგრებული. ხელით გაეწმინდეთ სანთლის სიახლოვე ტერიტორია და გამოჩნდა ცხოველის ქვის ყური, რაზეც დამაგრებული იყო სანთელი. მოვნახეთ ჯგოხები, მიტოვებული რკინის შამფური და დაახლოებით ერთსაათიანი ნვალების შემდეგ გამოვაჩინეთ ქვაში გამოქანდაკებული ცხენი. მივხვდით, რომ ეს იყო საფლავის ქვა, ის საკმაოდ მძიმე იყო, რადგან სამ კაცს გვიჭირდა ფეხზე წამოყენება. რის ვაი-ვაგლახით

წამოვაყენეთ და ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა... ქვის ცხენი შეკაზმული იყო, პირში ლაგამი უდევს, ლაგამიდან კისრისკენ გაუყვება აღვირი, ზურგზე ადგას უნაგირი თავისი მოსართავებით. წინა ორთავე ფეხზე, მუხლებს ზემოთ, გამოსახულია შველი ნახტომში. უკანა ფეხების ბარძაყებზე გამოსახულია მონადირე მოზიდული მშვილდ-ისრით ხელში. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს მონადირე ისარს სვრის შველს. საფლავის ქვა ხელოვნების ისეთი მაღალი გემოვნებით იყო დამზადებული, რომ ბევრ თანამედროვე მოქანდაკეს შეშურდებოდა. გადავწყვიტეთ საფლავის ქვის მუზეუმში წამოღება, ჩამოვსხედით „ცხენის“ სიახლოვეს და ვბჭობდით თუ ვინ განისვენებდა მის ქვეშ და სხვა... ფიქრებში გართულებს თავს დაგვადგა მწყემსი, რომელიც ძროხებს მოერეკებოდა. მოგვესალმა, გვკითხა ვინ ვიყავით და რად გვინდოდა ცხენის ქანდაკების წაღება, მიზეზს მოსმენის შემდეგ უსიტყვოდ გაგვშორდა. 20-25 წუთში 12-15 ახალგაზრდა თოფებით შეიარაღებულები დაგვადგნენ თავს. სირბილით დაღლილყვნენ, მათ ხმამაღლა მოგვიწოდეს, რომ ცხენის ქანდაკება მათი „ვასთირვჯი“ (ღმერთი) იყო და ისინი დაგვხოცავდნენ და მათ ღმერთს არ დაგვანებებდნენ. ჩვენი ახსნა-განმარტება რომ ეს ჩვენს წინაპრებს ეკუთვნის და რომ იგი ხალხის საკუთრებაა, მათ არაფრად ჩააგდეს, ამიტომაც უკან ხელცარიელები დავბრუნდით.



გადაიარა ქარტეხილებმა, ოსებმა დატოვეს ეს მხარე და ჩვენც მივაშურეთ გუჯარეთის ხეობას, ბევრ ძებნის შემდეგ იმავე ეკლესიის ეზოში ვნახეთ მეორე შეკაზმული ცხენის საფლავის ქვა, მაგრამ მისი დამზადების მხატვრული დონე დაბალი იყო. სავარაუდოა, აღნიშნული საფლავის ქვების მსგავსი სხვებიც იყოს, მაგრამ ისინი ალბათ მინით არიან დაფარულნი და მზის სინათლეს ელიან.

უნდა აღინიშნოს, რომ საფლავის ქვა ვერძის გამოსახულებით სხვადასხვა ზომისა გვხვდება, შესაძლებელია, მათ ქვეშ დიდი და ძლიერი გვარის შვილები განისვენებენ...

ვინ იცის, საფლავის ქვის ქვეშ მყოფი პროვინება სიცოცხლეში როგორი ძლიერი ვაჟკაცი იყო. შეიძლება იგი ომიანობის დროს თავისი სოფლის ან სულაც მთელი იმ მხარის სახელოვანი მებრძოლი ან სარდალიც კი ყოფილიყო, ვინ იცის... ძველ დროშიც ხომ მრავალჯერ ყოფილა ხალხთა დიდი მიგრაციები და პოეტისა არ იყოს: - ,წამკითხველო, ვინ იცის, „ბიჭო იქნებ პაპა იყო შენ“...

ვუყურებ ამ საფლავის ქვას და ფიქრებში ცოცხლდება განვითარებული შუა საუკუნეები. დრო, როდესაც ქართველი კაცი და ქართული ხმალი შიშის ზარს სცემდა საქართველოზე გარსშემორტყმულ მუსლიმანურ სახელმწიფოებს. ქვეყანა შენდებოდა და მშვენდებოდა... ვინ იცის, ამ საფლავის ქვეშ რომელიმე სახელგანთქმული თორელის ცხედარი ინვა. პიროვნება, რომელმაც თავის სიცოცხლეში მრავალჯერ ასახელა ჩვენი მხარე, თორის საერისთავო. ალბათ შემთხვევითი არ უნდა იყოს, შალვა თორელის მიერ გუჯარეთის ხეობაში, კერძოდ კიმოთესუბანში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის აშენება, რომელიც დღემდე, თითქმის 800 წელიწადი ინარჩუნებს თავის ბრწყინვალებას და სიდიადეს.

დღეს ეკლესიას აბყვია მშრუნველი ხელი, აქ მოღვაწე ბერების, ეკლესიის წინამძღოლის არქიმანდრიტ იერომიელის ხელმძღვანელობით.

არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც შალვა თორელ-ახალციხელის მოკვეთილი თავი მის მიერვე აშენებული ეკლესიის ოდნავ ზემოთ, წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიაში განისვენებს.

და ბოლოს, პიროვნება, რომელიც ასეთი დიდი ქვის ქვეშ განისვენებდა, ალბათ თვითონაც გოლიათური აღნაგობისა იქნებოდა. ვინ იცის, ბრძოლაში დაეცა თუ ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იგი მდიდარ ფეოდალური ოჯახიდან უნდა ყოფილიყო, რამეთუ ასეთ გრანდიოზულ ქვას „ჩვეულებრივ მოკვდავს“, არავინ თუ ვერავინ ვერ დაადგამდა.

უმორჩილესად გთხოვ უფალო, შეუნდე მათ, ვინც ხელჰყო აღნიშნული საფლავის ქვა, ქვის ქვეშ მწოლიარეს კი სამარადისო ნათელი და სასუფეველი დაუმკვიდრე.

ალგი ლომაძე,
მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი.

ვულოცავთ!

ტაძრისის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ქალბატონ **ლეილა პაპიძეს** ვულოცავთ პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს.

ქალბატონი ლეილა გახლავთ დაუშრეტელი ენერგიის მქონე დიდი შემოქმედი, ბავშვთა გულების მესაიდუმლე, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მარად უბერებელი ქალბატონი.

ძვირფასო ლეილა, ამაგდარო, ღირსეულად დაიმკვიდრე ჩვენი სამი სოფლის მოსახლეობაში უდიდესი [illegible] ლი და პატივისცემა,. პედაგოგიური მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან ერთად გილოცავთ მასწავლებლის ტრადიციულ დღესასწაულს.

ჩვეული შემართებითა და უდიდესი ენთუზიაზმით კიდევ დიდხანს ემსახურე ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდას.

ჯანმრთელობა და მზეგრძელობა მოგმადლოს უფალმა.

მრავალჟამიერ!

ოლია თოფურიანი, კობა მეგრეველი, ლეილა გაჩეჩილაძე.

მასწავლებლის დღეს გილოცავ!
ბავშვთა გულისმპყრობელო,
ჩვენო დიდო სიმაყევ,
დიდო მასწავლებელო!
მკაცრი ხარ და მომთხოვნი ხარ,
მზრუნველიც ხარ, სათნოც ხარ,
თაობების აღმზრდელი ხარ,
ჩვენს გულებში სახლობ და...
სიამაყით დააბიჯებ
მადლიანი ღიმილით,
კლასში ხარ და კლასთან ერთად
მერხიც, დაფაც გიღიმის.
კეცე წლები სიხარულით
მადლი ღვთისა ზეობდეს,
ღირსეულო ქალბატონო,
გულით გლოცავ, გჯეროდეს.
კვლავაც ზარდე სიყვარულით,
რწმენითა და იმედით
ღირსეული მომავალი,
საქართველოს ნუგეში.

დიდი სიყვარულით

ოლია თოფურიანი.

ვულოცავთ!

ჩვენს ერთგულ და უღალატო მეგობარს, სამცხე-ჯავახეთში და მშობლიურ ქალაქში შესანიშნავად ცნობილ პიროვნებას, ბატონ **ჯამბულ ღონღლაძეს** ვულოცავთ დაბადების 75 წლისთავს, ვუსურვებთ ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და ღვთის წყალობას.

თემურ ხუხუნაიშვილი, ვალერიან ლომიძე, უჩა ჯანგირაშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტები

სემინარი თემაზე - ტრადიცია და თანამედროვეობა

ბორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, შემეცნებითი-საგანმანათლებო სემინარი ჩატარდა თემაზე: „**საქართველო-ტრადიცია და თანამედროვეობა**“ სემინარის ჩატარების მიზანი იყო ქართული ეთნოკულტურული ტრადიციების უკეთ გაცნობა და მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმოჩენა თანამედროვე გამოწვევების ჭრილში.

საგანმანათლებლო სემინარს უფროსკლასელები ესწრებოდნენ.

სემინარს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, **გია ბალაშვილი** უძღვებოდა.

საგანმანათლებლო ღონისძიების შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

თემურ ადუაშვილის გახსენება

არიან ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობა და მეგობრობა დიდ სიხარულსა და სიამოვნებას განიჭებს. სწორედ ასეთი გულკეთილი, გულმართალი და კეთილშობილი ადამიანი იყო დვირის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

თემურ ადუაშვილი.

9 ოქტომბერს 60 წელი შეგისრულდებოდა, როგორ ელოდებოდი შენ და შენი საყვარელი ოჯახი და ჩვენც შენი კოლეგები, შენი მეგობრები და ახლობლები, შენი მოსწავლეები, რათა აღგვინიშნა შენთვის იუბილე, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად ინება. ვერ შეხვდი შენს იუბილეს ისე, როგორც ოცნებობდი, ისე როგორც გვინდოდა ყველას: ომახიანად, სიხარულით და სიყვარულით. შენ ხომ ის მართალი კაცი იყავი, რომელიც გულით მხოლოდ სიყვარულს დაატარებდი, ყველას ხელის გამმართველი, ყველას დამხმარე და უანგარო მეგობარი.

ძალიან აკლიხარ შენს ოჯახს და ჩვენს კოლექტივს. ძნელია საყვარელი ადამიანის წასვლით გამოწვეული ტკივილის ატანა. შენ ხომ ახლა გინდოდა სიცოცხლე, გეყურებინა როგორ იზრდებიან და ფრთიანდებიან შენი შვილიშვილები.

დღეს ცრემლით, ტკივილით და დარდით შევხვდით შენს დაბადების დღეს, ჩვენო პატიოსანო, წესიერო და დიდი გულის პატრონო ადამიანო. გვაკლიხარ და ხშირადაც გიხსენებთ გულისტკივილით.

ახლა იმ ქვეყნად მოგიღოცეს დაბადების დღე შენმა ოჯახმა და ახლობლებმა. ენით გამოუთქმელია ის სიმწარე, რასაც განიცდიდნენ ისინი, როდესაც შენს შესანდობარს სვამდნენ და შენ სურათიდან უცქეროდი მათ. შენი წასვლით თითქოს დაცარიელდა სახლი და არა მარტო სახლი ჩვენი სამასწავლებლოც. ხშირად ვიხსენებთ, ფანჯარასთან გიყვარდა დგომა. ხანდახან გავიხედავთ იქით, თითქოს თვალი გეძებს.

შენი უბრალოებით, კაცური კაცობით და ადამიანობით ყველას, მთელ სოფელს, მეზობლებს თუ მეგობრებს დაგვამახსოვრე თავი. ვიხსენებთ შენგან დათესილ სიკეთეს, ყურადღებას, ერთგულებას. შენ ხომ არასოდეს არავის არ ეუბნებოდი დახმარებაზე უარს, არავისგან არაფერს გამოელოდი და უანგაროდ გასცემდი სიკეთეს.

უღალატო კაცი იყავი, მაღალი პასუხისმგებლობის, თავაზიანი, ზრდილი. შენს სიტყვა-პასუხს უცილობლად ეტყობოდა კარგი მშობლის ხელი.

დიდი გულის პატრონი დიდ ტკივილსაც დაატარებდი. შენს მშობლიურ მხარეს მოწყვეტილი 2008 წლის ომმა დიდი მწუხარება და სევდა მოგიტანა და ეტყობა გულმაც ამდენს ვერ გაუძლო და ერთ დღესაც გიღალატა. ნაადრევი იყო შენი წასვლა ამქვეყნიდან. დატოვე შენი შესანიშნავი ოჯახი, შვილები, ერთგული მეუღლე, რომელსაც შენს გახსენებაზე ყოველთვის თვალები ცრემლით აქვს სავსე.

თემო, ასე მოგმართავთ, შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ყველასთვის, ვინც გიცნობდა და ვისაც ურთიერთობა ჰქონდა შენთან. ღმერთმა ნათელში გამყოფოს. გვჯერა შენი პატიოსანი, სპეტაკი სული ზეციურ სასუფეველში იქნება.

დვირის საჯარო სკოლის კოლექტივი.

რკინიგზელთა პირველობა ფეხბურთში

რკინიგზელთა პროფესიული კავშირის ორგანიზებით, ჩატარდა საქართველოს რკინიგზის 150 წლისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში!

საქართველოს მასშტაბით ტურნირში მონაწილეობა მიიღო რკინიგზელთა პროფკავშირის წევრებისაგან დაკომპლექტებულმა თოთხმეტმა გუნდმა; (თბილისის სავაგონო დეპო; თბილისის სცბ; აღმოსავლეთ სალიანდაგო სამმართველო; ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა“; სადგური საკვანძო; სადგური სატვირთო; უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველო; ხაშურის სალოკომოტივო დეპო); ხაშურის სავაგონო დეპო; სადგური ხაშური; სამტრედიის სცბ; სამტრედიის სავაგონო დეპო; სადგური სამტრედია; ქუთაისის სალოკომოტივო დეპო.

თავდაპირველად გაიმართა რეგიონალური ტურნირი. აღმოსავლეთ რეგიონში ტურნირის გამარჯვებული გახდა თბილისის სავაგონო დეპოს გუნდი, უღელტეხილის რეგიონში ხაშურის სავაგონო დეპოს გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი, ხოლო დასავლეთ რეგიონში გამარჯვებული ხვდა სამტრედიის სცბ-ს გუნდს.

ტურნირის ფინალური ეტაპი გაიმართა ქალაქ ქობულეთში, სადაც რეგიონალურ ტურნირში, პირველ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

რკინიგზის პირველობა თბილისის სავაგონო დეპოს გუნდმა მოიპოვა, მეორე ადგილი ხაშურის სავაგონო დეპოს გუნდმა დაიკავა, მესამე ადგილი კი სამტრედიის სცბ-ს გუნდს ხვდა.

საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს ფულადი პრიზები, თასები, მედლები და სიგელები გადაეცათ, რის შემდეგაც გაიმართა საზეიმო ბანკეტი.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი მადლობას უცხადებს ტურნირის ყველა მონაწილეს და ზრუნავს რა დასაქმებულთა, როგორც შრომის ისე დასვენების უფლების სრულყოფილ რეალიზებაზე, კვლავაც გააგრძელებს აღნიშნული ხასიათის ღონისძიებების ორგანიზებას, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც, ჯანსაღი ცხოვრების წესს, ისე ადამიანური ურთიერთობების გაღრმავებას დასაქმებულთა შორის.

მეგობრის ხსოვნას

აქაც კარგი კაცი იყო..!

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 77 წლის ასაკში გარდაიცვალა რაისაავადმყოფოს უროლოგიური განყოფილების ყოფილი გამგე, უმაღლესი კატეგორიის ექიმი, ცნობილი უროლოგი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, ჩვენი საძმო-სამეგობროს გამორჩეული წევრი

იური წერეთელი.

ბატონი იური როსტოვში დაიბადა. ის რუსულ გარეშოში გაიზარდა. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბორჯომში მოუწია მუშაობის დაწყება, შესანიშნავი გვარის პატრონს უჭირდა ქართულად საუბარი, მიუხედავად ამისა, დიდი ძალისხმევით და მონდომებით სწავლობდა ქართულ ენასა და ტრადიციებს. გამორჩეულად მეგობრული, უღალატო და კომუნიკაბელური პიროვნება გახლდათ. ამაყობდა თავისი პროფესიით, უხაროდა სიკვდილს გადარჩენილი მრავალრიცხოვანი პაციენტების ისტორიების გახსენება.

თხემით ტერფამდე ინტელექტუალს და სამაგალითო მამულიშვილს უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, მშობლები, წინაპრები, ქართული სადღეგრძელოები...

ბატონ იურის შესანიშნავი მეუღლე ყავდა, რომელიც წლების მანძილზე ბორჯომის სამშობიარო განყოფილებაში მუშაობდა გინოკოლოგად, დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა ბორჯომის საზოგადოებაში. ქალბატონი ნატაშა შარშან კოვიდინფექციამ იმსხვერპლა, მისი წლისთავი იურის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე აღინიშნა. და აი, ჩვენი მეგობარიც მეუღლის გზას დაადგა.

სწორედაც ბატონ იურის და ქალბატონ ნატაშას მიესადაგება ჩვენში საყოველთაოდ გავრცელებული გამოთქმა, - აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა. ჭეშმარიტად, შეყვარებულ მეუღლეებს შეეფერება ეს მართლაც საკრალური გამოთქმა.

მშვიდობით ჩვენო ერთგულო და უღალატო მეგობარო, შენი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა, რომელიც ძალიან გიყვარდა.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ამინ!

მეგობრები.

ვლადიმერ (ვლადიკა) კაზანჯევის გახსენება



9 ოქტომბერს უშენოდ აღვნიშნეთ შენი დაბადების დღე. 81 წლის გახდებოდი. შენს საფლავზე დავანთეთ სანთლები და უფალს შევთხოვეთ, რომ ნათელში გვიმყოფოს შენი ლამაზი სული.

კმაყოფილი იყავი შენი ცხოვრებით და ხარობდი შვილებით და შვილიშვილებით. ამქვეყნად ბევრი სიკეთე აკეთე, ვალმოხდილი წახვედი, ბორჯომელები ყველა გიცნობდა, როგორც კეთილსინდისიერ, გამორჩეულ და თბილ ადამიანს. მხოლოდ შენი კეთილი სახელი დარჩა ამქვეყნად, რაც ნამდვილად საამაყოა, ხოლო ჩვენ დაგვიტოვე დიდი ნაღველი და სევდა.

ნათელში იყავი, მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა, რომელიც ძალიან გიყვარდა.

იხსენებენ მეუღლე მერი, შვილები როლანდი, ზურა, მარიზა, შვილიშვილები ლადო, ანა, გიორგი და ძეთა.

შვილები კირილე, ალექსანდრე, და ეკა, რძალი გალინა, შვილიშვილები ილია, იაროსლავი, დარია წერეთლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იური წერეთელი

დაკრძალვა 13 ოქტომბერს 2 საათზე, გამოსვენება ბინიდან, მესხეთის ქ №38.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2 ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თეოდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე